

572  
1951

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტიის  
ცენტრალური  
კომიტეტის  
გამომცემლობა

# დილა

არაფერი, ტურფა ქვევანე,  
იღონზე, ქართველი შარფო,  
და შინე, ქართველი, სწავლითა  
სამსიალი, ეახარო!

საქართველოს ალკმ ცენტრალური კომიტეტის  
ფოტოლიტერატურული საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის



№ 11

ნოემბერი

1951



იოსებ ნონეშვილი

## ჩვენი მეგობრები

ზეიძია, ხალხი  
ლხინით ქუჩებს ავსებს  
და მტრედების გუნდი  
დაკუფარფატებს თავსე.

აქაც ჩამოფრინდნენ  
ჩვენი მეგობრები.  
მოფრიალდნენ ჩვენთან  
მოფარფატე ფრთებით.

დედამ მითხრა: ქვეყნის  
და მშვიდობის მტრები  
სდევნიანო ველებან,  
არ უგვართო მტრედი,

რადგან მოღუდუნე  
მტრედებს ხალხიანს  
მშვიდობიან შრომის  
მასწრობლად სთვლიან.

მტერს სურს ხალხის სოცვა,  
ომი შესაზარი,  
სურს გამრავლდეს ქვეყნად  
უვაუ-უღონების ჯარი.

ჩვენ კი სახლებს ვაგებთ,  
მწვანით ვქარგავთ ქედებს,  
ჩვენ კი საკეკეს ვუერთი  
ფრთახატულა მტრედებს!





7003

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი



## დიადი განთიადი

— შენერდი! ვინ მოდის? საით?

— სმოლნიში... ზეტელიოვის ქარხნის  
მუშები ვართ.

— სმოლნიში... მეზღვაურები ვართ  
„აერორა“-დან.

— მეტევიამფურქვევე ჯარისკაცები  
ვართ.

— გამოიარეთ, ამხანაგებო!

სახნაგებულ ქუჩების გზაჯვარედინებზე იდგნენ მეთვალყურეები და რეკოლუციის შტაბის მისადგომებს იცავდნენ.

სმოლნის სასახლის წინ, მოედნებზე კოცონები ენთო; ახალმოსულ რაზმებს იარაღს ურიგებდნენ; მოდიოდნენ სატვირთო მანქანები, მათ ფრთხილად თვალი მომარჯვებული მესღვაურები გაწოლილიყვნენ.

— რაზმების მეთაურებო, ჩემთან!— დაიძახა ცხენოსანის მახარაში გამაწყოებილმა კაცმა.

მეთაურები სწრაფად შეიკრიბნენ, და ის კაცი მათ სმოლნიში შეუძღვა. კრძელ კორიდორში ორ ნაკადად მიემურობოდა შეიარაღებული ხალხი,—ერთი ნაკადი შტაბში, მეორე—შტაბიდან; მეკავშირეები ქარობდნენ ბრძანებებით და მოხსენებებით.

მეთაურები დიდ ოთახში შევიდნენ. მიკვიდნებოდნენ, რომელხედაც ქალაქის რუკა იყო გაშლილი, ლენინი და სტალინი იდგნენ.

ლენინი რუკაზე უზენებდა და ამბობდა:

— განაწილდეს ძალები და ეკვლამთავარი ზუნქტი იქნეს დაკავებული: ვაკსლები, ფოსტა, ტელეგრაფი...

მეთაურები განუმრევლად იდგნენ, რათა ლენინის ერთი სიტყვაც კი არ გამოჰხაროდათ.

— შეპრობილ იქნეს დროებითი მთავრობა, — განაგრძობდა ლენინი. — შეპრობილ იქნეს ისე, რომ არცერთი წუთი არ დაიკარგოს. თხვი გავწიროთ და მტერს არ მივცეთ საშუალება, რომ ქალაქის ცენტრისაკენ გაიწიოს.

იქვე, ოთახის მეორე ბოლოში მესღვაური-ტელეფონისტი სველეს ტელეფონის მიღში შტაბის ბრძანებებს გადასცემდა.

— ზირველმა ბატალიონმა დაიკავოს აღნიშნული ზონიცი და ნიშნის მიცემას დაელოდოს! კრონშტადტო! მისმენ? კრონშტადტო...

ზირველი ზროლეტარული რაზმების მეთაურებს მისცეს მანდატები ლენინის და სტალინის ხელმოწერით.

ლენინმა მიმართა „აერორა“-ს მესღვაურს:

— ალექსანდრინკას ალეს უნდა შემოეკლოს, ზეტროპავლოკა ალეებულ იქნეს, რადაც უნდა დაკვიჯდეს.





ზამთრის სასახლის იერიში

ნახატი ალ. ზანძელაძისა

— არის!— მოკლე მთუკო მესღვაურმა და განსვლელს მიაშურა.

ამხანაგმა სტალინმა სხვა დანარჩენ მეთაურებს აუხსნა საბრძოლო დავალება:

— თქვენ, ამხანაგებო, დაიკავეთ ხიდები წამთრის სასახლესთან, დაიკავეთ და გაამაგეთ.

— დაკავებული და გამაგრებული იქნეს!— გაიმეორეს ბრძანება მეთაურებმა და სწრაფად გაემურნენ თავის რაზმებთან— რევოლუციის შტაბის ბრძანების შესასრულებლად.

— თქვენ კი, ამხანაგო, წაიფანეთ რაზმი და ტელეფონის სადგურზე წადით... აუცილებლად ჩაიკრთო ხელში, — დაუმატა ვლადიმერ ილიას-მემ.— გადაჭრით იმოქმედეთ!

— გადაჭრით ვიმოქმედებ! — გულიდან აღმოხდა წითელი გვარდიის მეთაურს ახალგაზრდა მუძას.

რიგრიგობით იღებდნენ დავალებას და მიეშურებოდნენ მეთაურები. ხოლო, მათ, ვისაც განსაკუთრებით მძიმე საბრძოლო მუშაობა მოელოდა, ლენინი ეუბნებოდა:

— განსოვდეთ, ამხანაგებო: რევოლუციის ბედი წუდება!

სტალინი კი უაჟაფური სიტყვით ამხნეებდა:

— ღირსეულად ატარეთ რევოლუციის მეთაურთა სახელი!

მოედინდან სიბნელეში მიემართებოდ-

ნენ რაზმები და ცდილობდნენ ბრძოლით დაერღვიათ დამარული წინაშე, ალფას ავლებდნენ წამთრის სასახლეს და გადაშევევტი იერიშის ნიშანს ელოდებოდნენ.

და აი, მოულოდნელად და მძლავრად იტყვა ხალხმა.

წითელმა შუქმა გაანათა ქუჩები, მდინარე ნევის სუდანირი და ფოლადის კრეისერი— „ავრორა“, რომელმაც ძველსაძეაროს სასაკედილო ცეცხლი გაუხსნა.

ისროდა „ავრორა“, და თავისი ქვემეხების გრივლით იუწყებოდა აჯანყების დაწყებას, დგებოდა ახალი ერა— დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერა.

დაიწყო წამთრის სასახლის იერიში. რევოლუციის მებრძოლები მოვარდნილი ნიაღვარივით მისწრაფოდნენ იერიშზე და ახლა უკვე არავითარ ძალას აღარ შეეძლო მათი შეჩერება.

მუშები, ჯარისკაცები და მესღვაურები ბრძოლით შეიჭრნენ და აიღეს წამთრის სასახლე.


ცეცხლის განთიადი ვარვარებდა ნეტროკრანდსე.

სმოლნში, ფანჯარასთან იდგნენ ლენინი და სტალინი.

— რა განთიადია...— წყნარად თქვა ლენინმა.

— ეს დიადი განთიადია, — ისევე წყნარად მთუკო სტალინსა: — იგი მთელ ქვეყნიერებას განათავსებს.





მიორგი შაბუაშვილი

ნახატები ალ. გიგოლაშვილსა

## ისევ შეხვდნენ

დავინახე თუ არა, მაშინვე ვიცანი! მივუხლოვდი, თვალთვლიერება დაუწყვე: დიახ, ნამდვილად ის იყო,—ჩინელი ბიჭი ლი ჩანი! ჩინელ ბავშვებში ჩამდგარიყო ოპერის ლამაზი შენობის წინ. ვაზრდილიყო, ტანი აყვარა, შავ, გრძლად გაჭრილ თვალეებში ბედნიერი ღიმილი უკრთოდა. სადღა იყო ის სვედიანი სახე, რომელმაც ამ ოთხი წლის წინათ, ბელადის სამშობლო ქალაქ გორში ჩემი თვალი მიიზიდა.

ახლა ლი ჩანი გულიანად იცინოდა და ხელგაშლილი ჩინელ გოგო-ბიჭებს რაღაცას უხსნიდა: განსაკუთრებული ყურადღებით კი ერთ პატარა, ფერმკრთალ გოგონას ექცეოდა, თითქოს თავისი გაბედული ქცევით მის აყოლიებას და გამხიარულებას ცდილობდა. ის პატარა, ჩინელი გოგონა გაფართოებული, გაბრ-

წყინებული თვალეებით ათვალთვლიერებდა მიდამოს და სახით ისე საოცრად ჰგავდა ლი ჩანს, რომ გავიფიქრე: თავისი უმცროსი და ჩამოუყვანია-მეთქი.

ჯერ ოთართან გაქცევა გადავწყვიტე, რომ ახალი ამბავი მეხარებინა; მერე— ლი ჩანთან მისვლა და გამოცნაურება, მაგრამ თავი შევიკავე: იქნებ ლი ჩანმა ვერც კი მიცნოს, მან ხომ რამდენიმე წლის წინათ ცოტა ხნით მნახა გორში; მაშინ მე ყველაზე გვიან შევიარბინე ოთარის ბაღში, ერთხელ ვიცეკვე და აბა, რას დამისსომებდა!

ოპერის წინ მოსაუბრე ჩინელი ბავშვები ჩვენი სტუმრები იყვნენ და ვიცოდი, რომ ბავშვთა ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მაინც შეხვდებოდით.

ჰო, რა მოულოდნელი, რა სასიხარულო იქნება ლი ჩანისა და ოთარის შეხვედრა!

\* \*

ოპერის სცენის უხარმაზარი ფარდა გაიხსნა. გამოჩნდა ხალხით გაქედილი ვრცელი დარბაზი. ფარდას ამოფარებული, ქუჭურუტანიდან გავქეცროდი დარბაზს; მაშინვე შევნიშნე, ჩინელი სტუმრები, პირველ რიგში ისხდნენ და ოლიმპიადის დაწყებას ელოდნენ.

ჩემს გვერდით, სულგანაბული გორელი მოსწავლეები იდგნენ და ისინიც ელოდებოდნენ.

ოთარმა სახელო ჩამომწია და ჩუმაღ მითხრა:

— აბა, ხელი დამადე გულზე!

ოთარს მართლაც საოცრად უცემდა გული.

კიდევ კარგი მან არ იცოდა ლი ჩანის დარბაზში ყოფნა, თორემ...

ოთარი ხომ ჩვენი, გორელ მოსწავლეთა გუნდის ხელმძღვანელი იყო, ყველას მაგიერ ის ელოდა, სწუხდა, უხარდა.

— ნუ გეშინია, ჩვენ ბავიძარჯვებთ!— ვუჩურჩულე ოთარს და ისევ დარბაზს გაუხედე.

პირველად თბილისელი ბავშვები გამოვიდნენ. მართლაც მშვენიერად იმღერეს და იცეკვეს.

ხალხი მათ ტაშს უკრავდა, სიმღერების გამეორებას სთხოვდა.

მეც ამიძგერდა გული; ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ვაი თუ შეგვეშალოს რაიმე, ვაი თუ სხვებმა გვაჯობონ და სტუმრების წინაშე შევრცხვებით?

სცენაზე რომ გავედით, თვალთ დამიბნელდა. უცებ, ველარც ხალხით გაქედილი დარბაზი დაინახე, ველარც ჩინელები, — საკუთარი გულის ბაგაბუგი მესმოდა.

— აბა, დავიწყეთ!— შემომესმა.

ჩვენს წინ დარბაზისაკენ ზურგშექცეული ოთარი იდგა და ღიმილით გამაზნებებდა. პირველად „გაფრინდი, შავო მერცხალო“ ვიმღერეთ. ისეთი ტა-

შისცემა გაისმა, თითქოს გადაუღებელი სეტყვა სცემდა კრამიტის სახურავს. თავისუფლად ამოვისუნთქე და დარბაზისაკენ გავიხედე. ყველა ტაშს გვიკრავდა. ფეხზე წამოდგარი ლი ჩანს ტაშის დასაკრავად გამზადებული ხელები ჰაერში გაშეშებოდა და აღტაცებული თვალებით ათვალიერებდა ოთარს, რომელიც ახლა დარბაზისაკენ მიბრუნებული მადლობას უხდიდა საზოგადოებას.

უცებ ლი ჩანი გამოცოცხლდა, ოთარი იცნო, ტაშისცემა ატყა და რამდენიმეჯერ დაიძახა:

— ვაშა, ოთარ, ვაშა, გორელო ბიჭებო!

ოთარი ისე იყო დაბნეული, რომ არც ჩინელები დაუნახავს, არც ლი ჩანი უცენია და არც მისი ძახილი გაუგონია, რომელიც საერთო ხმაურში ჩაიკარგა.

ჩვენი გამოსვლის შემდეგ, პირველი განყოფილება დამთავრდა. კმაყოფილნი და ბედნიერნი მოვეფარეთ სცენას. მე ისევ ქუჭურუტანას მივვარდი და დარბაზისაკენ გავიხედე. ლი ჩანი და სხვა ჩინელები ველარც დაინახე. უცებ, ზურგს უკან უცნაური ჟრიაში და ლი ჩანის ხმა შემომესმა. ის ხალხს მოარღვევდა და ჩვენსკენ მორბოდა. უკან ჩინელი ბავშვები მოსდევდნენ.

ოთარმაც მაშინვე იცნო ძველი მეგობარი, თვალები გაუბრწყინდა, მკლავები უნებურად გაშალა და გადაეხვია:

— როგორა ხარ, ლი ჩან!

— როგორა ხარ, ოთარ!— ენი იცის,

მერამდენედ გკითხებოდნენ ერმანეთს. ბოლოს ჩვენთვისაც მოიცალა ლი ჩანმა, საითთოდ ჩამოუარა გორელ მოსწავლეებს, ხელი ჩამოუართვა; მე რომ დამინახა, მიცნო და გადამეხვია:

— ახლა კი უსათუოდ უნდა მასწავლო ქართული ცეკვა!— მითხრა და მერე ყველას, ჩინეთის ხალხის ბელადის მათ ძე დუნის ნიშანი დავაბნია მკერდზე.

— კარგად მღეროდით, კარგად!—

კმაყოფილებით იმგორებდა ლი ჩანი და სიყვარულით გვათვალერებდა.



\* \* \*  
ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ გორელი ბავშვები და ჩინელები ერთად გამოვედით გარეთ.

შემოდგომის მთავარიანი, წყნარი სალამო იყო. რუსთაველის პროსპექტზე მიედრიოდით.

წინ ლი ჩანი და ოთარი მიდიოდნენ ლი ჩანს მღელვარებისაგან თითქოს ლაპარაკი უმძიმდა. იშვიათად თუ იტყვოდა რამეს. ბოლოს თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჩვენსკენ მობრუნდა, შეგვაჩერა და ხმამაღლა გვითხრა:

— ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი სამშობლო—ჩინეთი უბედური იყო: მაშინ თქვენ გარს მეზვეოდით, მამხნეებდით. მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ და გითხრათ: ახლა ჩინეთი თავისუფალია, მაგრამ მტრები მაინც არ გვასვენებენ. აი, ახლა ამის სამშობლოს უპირებენ დამონებას, — ეს კორეელი გოგონა!

ლი ჩანმა მხარზე ხელი დაადო. პატარა გოგონას, რომელიც მანამდე ჩვენ ჩი-

ნელი გვეგონა. ყველანი გარს შემოვეხვეით გოგონას, რომელიც მორცხვად იდგა ჩვენს წინ. ვამხნეებდით, გორში წაყვანას, ბელადის სახლის ჩვენებას ვპირდებოდით.

კორეელმა გოგონამ სახე მოგვარიდა, უნებური ცრემლები მოადგა თვალზე. იმ წუთში მის თვალებში ის ნალველი ამოვიკითხე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ლი ჩანის თვალებში კრთოდა.

იმ წუთში ყველას ფიქრი იქ დაფრინავდა, სადაც ამ პატარა, დაჩაგრული გოგონას მშობლები, მშები და მოძმენი გმირულად იბრძვიან მოძალადეთა წინააღმდეგ.

\* \* \*

ამ რამდენიმე დღის წინათ, გორში მივდიოდი და ეს ამბავი ოთარის აშხანავმა, გორელმა ბიჭმა გივიმ მიაშპო მატარებელში და მთხოვა, თქვენთვისაც მომეთხრო, ჩემო პატარა მკითხველებო!





ოში არ სურთ!

ნახტი შ. ცხადიძის



# ომი არ სურთ!

ოკეანის გადაღმა  
იცით, არის რამდენი  
ბავშვი შეუდრეკელი  
და გმირობის ჩამდენი?!

ვინ თქვა საქმე საგმირო  
არ შეეძლოთ ზატარებს!  
სედავთ ამ კარგ გოგონას?—  
სელმოწყონას ატარებს.

ომი არ სურს, მშვიდობის  
მომხრე არის გულწრფელი,  
უბით დაქვს ფარულად  
მოწოდების ფურცელი.

უბრალო ხალხს ასურებს  
ხან ცალ-ცალკე, ხან გუნდად;  
უკლას სელს აწერინებს,  
ვისაც ომი არ უნდა.

ციხე მას არ აშინებს,  
დეგნა, უამინდობა,  
რადგან ომი არა სურს,  
რადგან უნდა მშვიდობა.

და რომ ცეცხლი არ მისწვდეს  
სეცის ნათელ კუმბათებს,—  
მშვიდობის დიდ შენობას  
ისიც აგურს უმატებს.

4207

პარო ქალაქი


## მოსწავლეთა სიმღერა

ამ სიმღერას ჩვენთან ერთად  
იმეორებს მთა და ბარი:  
მოსწავლეთა მამაცობა  
და გმირობა სწავდა არი!

ამ სიმღერის დიდი აზრი  
ვინ არ იცის, ვის არ სჯერა,—  
მოსწავლეთა წითელ დროშას  
თვით ბერიამ წაანერა!

თავი ჩრდილს ვინც შეაფარა,  
სახლის ღიწრო კარს არ გასცდა,  
ვინც სიმღერით წინ არ მიდის—  
ის არაა ახალგაზრდა!

გზას სტადინის მზე გვიწათებს  
და სამშობლოს სიყვარული,  
ჩვენი ქვეყნის იმედი ვართ,  
ჩვენი ქვეყნის სიხარული!



პარლა ჟაჟოლი

ნახატები ი. კალაძისა

## პირველი ქართული ავტომობილი

— ბავშვებო, თქვენ გიყვართ ავტომობილი, გიყვართ, როცა მანქანაში ჩავსვამენ და ქალაქგარეთ გავატარებენ. მანქანიდან უცქერით ყვავილეებით მოქარგულ მინდვრებს, გორაკებს, ამწვანებულ ხევებს, ველად გაფენილ ცხვრის ფარას...

რაგინდ გრძელი მანძილი იყოს გასავლელი, მგზავრობა მინც არ მოგწყინდებათ, დაღლოსაც ვერ იგრძნობთ.

მოდით, ჩვენც ავტომობილზე ვისაუბროთ, მოვეყვით ამბავს, თუ სად და როგორ კეთდება ჩვენი ქართული ავტომობილი.

უწინ ქუთაისის ახლოს მწირი მილამო იყო, მას მაღლაკის ტელს უწოდებდნენ. გაზაფხულზე იქ ახლო-მახლო სოფლებიდან მიდიოდნენ გლეხები, თესდნენ სიმინდსა და ბოსტნეულს. ციებიანი ადგილის გამო იქ მოსახლეობა არ ცხოვრობდა.

როცა დიდი სამამულო ომი გათავ-

და და კვლავ მშვიდობიან შრომას შეუდგა ჩვენი ხალხი, ქუთაისში დაიწყო უდიდესი საავტომობილო ქარხნის მშენებლობა.

ქართველი ხალხის ნატვრა ასრულდა, მაღლაკის ველზე, რომელიც ქუთაისიდან ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, გაჩაღდა მშენებლობა. რუსეთიდან ჩამოტანილ იქნა ქარხნის მოწყობილობანი. ააგეს ვეებერთელა შენობები დაზვებისა და ჩარხების დასადგმელად. საქართველოს კოლომურნეოებმა ქარხანაში სამუშაოდ გაგზავნეს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები. ბენდიერი ხალხის თავდადებული შრომით აშენდა უზარმაზარი ქარხანა, სადაც ახლა ქართულ ავტომობილებს აკეთებენ.

უნდა ვიცოდეთ, თუ რა დიდი შრომაა გაწეული თითოეული ავტომობილის გასაკეთებლად. არ გეგონოთ, რომ იგი მარტო ერთ სამაქროში კეთდება.

ავტომობილის ნაწილები ამ უდიდესი ქარხნის რამდენიმე სამაქროში მზად-



დება. ნაწილების რიცხვი ძალიან დიდი, — ორი ათას ხუთასზე მეტი. ყველა ამათ სათითაოდ შესწავლა, დალაგება და აწყობა ესაჭიროება, რომ ბოლოს ყოველმხრივ დამთავრებული ავტომობილი მივიღოთ. ამ მეტად დიდ საქმეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები აკეთებენ. ცხადია, ისინი ამას მარტო ვერ შესძლებენ, რომ მათ გამოცდილი ოსტატები და ინჟინრები არ უწყობდნენ დახმარებას.

ნათქვამია: ხელი ხელს ბანს და ორივე პირსაო! აქაც სწორედ ასეა. უმცროსები და უფროსებიც ერთი საქმით არიან გატაცებულნი. ყველა იმას ცდილობს, რომ დროზე გამოუშვას საუკეთესო ქართული ავტომობილი.

— ახლა, არ იკითხავთ როგორია ეს ავტომობილი?

იგი შედარებით უფრო მოკლეა, ვიდრე სხვა სატვირთო მანქანები, მაგრამ უფრო მძლავრია და სიმწვლეთა ამტანი. ქართული ავტომობილი აღვილად შესძლებს გზებზე სიარულს, მძიმე ტვირთის გადატანას სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად. ამ ავტომობილში შოფერსაც უფრო მოსახერხებელი დასაჯდომი აქვს მოწყობილი, ვიდრე საერთოდ სხვა სატვირთო მანქანებშია. ერთი სიტყვით კარგია და კარგი! მის შინაგან აგებულებას წლობით სწავლობდნენ ჩვენი სამშობლოს გამოჩენილი

ინჟინრები და გამომგონებლები. ყოველი ნაწილი გულდასმით შეისწავლეს, გააუმჯობესეს და ავტომობილიც საამაყო გამოვიდა.


თქვენ ალბათ გაინტერესებთ მისი პირველი გამოშვება.

ეს ასე მოხდა: წელს, 18 აგვისტოს, ქუთაისში არაჩვეულებრივი ზენი იყო. ამ დღეს დიდი და პატარა საავტომობილო ქარხნისაკენ მიეშურებოდა; სამუშაო საათი დამთავრდა. ერთ უდიდეს საამქროში, რომელსაც მექანიკურ-ამწუბ საამქროს უწოდებენ, შევიდნენ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები, გასტრეს წითელი ლენტი. მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი. მას ზედიზედ მოჰყვა მეორე, მესამე... ქარხნიდან გამოვიდა რამდენიმე ათეული მანქანა.

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა პირველი მშობლიური ავტომობილის გამოჩენამ ხალხში. პირველ მანქანას დიდი ციფრით ეწერა ნომერი პირველი, მას ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სურათი ამშვენებდა. გაისმა მქუხარე ტაში.

სალამოთი საზეიმოდ მორთულ ქუთაისის ქუჩებში ჩაიარეს ახალმა მანქანებმა. შიგ მოზრდილებთან ერთად ბავშვებიც ისხდნენ: მხიარული ყრიაშულით ავსებდნენ ქუჩებს პირველი ქართული ავტომობილების ნორჩი მგზავრები.





ანა ხახუაშვილი

ხახატი ვ. ტორტაძისა

## ვასიკოს „იორღა“

დედამ ვასიკოს ახალი ტანისამოსი ჩააცვა, თავი დავარცხნა, გზას გაუდგა და აღრიალებული ვასიკო ხელჩაქიდებული წაიყვანა.

— არ მინდა საბავშვო ბაღში, შინ მინდა ყოფნა! — ქირვეულობდა ვასიკო და დედის დარიგებას ყურს არ უგდებდა.

— ვაი, სირცხვილო! ამოდენა ვაჟკაცი ხარ და ტირი? — ასე შეეგება კარებთან ერთ-ერთი დამლაგებელი ქალი და შუა ბოსტნისაკენ ხელი გაიშვირა:

— აბა, გახედე, რამდენი ბავშვია, ყველა მუშაობს და აბა, თუ ვინმე ტირის?!

ვასიკომ გაიხედა და კვლებთან მოფუსფუსე ბავშვებს თვალი რომ მოჰკრა, უცებ გაჩუმდა. ვასიკოს ძლიერ მოეწონა ბავშვები რომ პატარა თოხებით რაღაცას აკეთებდნენ.

კაკლის ხის ჩრდილქვეშ მეორე მომვლელი ქალი და გოგონა, რომელსაც მკლავზე წითელი ბანტი ეკეთა, პაწია მაგიდებზე სუფრას აწყობდნენ.

ვასიკომ კარგად დაინახა გემრიელი რძის ფაფა თევზებით რომ ჩამოარიგეს, ახალი გამომცხვარი თონის პური ყვე-

ლის ნაჭრებით თევზებს მოუწყეს და პაწია ფინჯნებით ჩაიც კობტად ჩამოამწყრივეს.

ამ დროს გამგეც მოვიდა, — ხანშესული ქალი, კეთილი სახით შორიდანვე იღიმებოდა.

— აბა, დარო, აქ მოსვლა მინც არ აგცდა, რას გვერიდებოდი, ეს ბავშვიც ტყუილად გააცდინე.

— რა ვქნა, შენი ქირიმე, ფეხები ახლაც უქან მრჩებოდა. მეტად ცელქია, ვაი თუ არ გაგიგონოთ და შერე ისევ მალე კარზე მომაყენოთ-მეთქი, ამისი ძლიერ შეშინოდა.

— რას ამბობ! აბა, დაინახე, ვასიკოს როგორი კვიანი თვალები აქვს, ეგ ისეთი კარგი ბიჭი დადგება, რომ იქნება ყველას აჯობოს.

გამგის სიტყვები ვასიკოს გულში ღრმად ჩასწვდა, გაეხარდა და თავი ჩაღუნა.

— აბა, წავიდეთ, ვასიკო, შენი სახელი და გვარი სიაში ჩავეწეროთ, მერე ვისაუბროთ და შემდეგ ჩვენი კობტა ბოსტანი დაუამუშაოთ. თონხა ხომ იცი, ვასიკო?

ვასიკოს სახე მთლად გაუბრწყინდა. გამგეს მოკრძალებით ისე წაჰყვა, დედი-საყენ აღარც მიუხედაია, გაკვირვებული დარო საბავშვო სახლის ეზოდან გახარე-ბული გავიდა.

პირველ დღეებში ვასიკოს სიცელქისათვის აღარ ეცალა; გამგე და აღმზრდელი ქალები მას ერთი წუთით არ სტოვებდნენ უყურადღებოდ.

— აი, ვასიკო, მგონი ამას შენ უფრო კარგად შეასრულებ.

— მე ვხედავ, რომ ვასიკო ყველაზე კობტა კვლებს გააკეთებს!..

და ვასიკოც მეტად დილოზდა ყველა საქმე ყოჩაღად დაემთავრებინა. ერთ-მა ამბავმა ყველა დაარწმუნა რომ ვასიკო მართლა მარჯვე და გამბედავი ბიჭი იყო.

მათ ლამაზ ბოსტანს ერთი დაუძინებელი მტერი ჰყავდა და ის მტერი ვერა გზით თავიდან ვერ მოიშორეს. ეს ერთი გაწუწუკებული ღორი იყო; როცა კი მწყემსი დასაბინავებლად ღორებს მინდვრიდან მორეკავდა, ეს ღორი ეშმაკურად თავს დაიძვრებდა, საბავშვო ბაღის ღობეს გათხრიდა, შეუშინებლად შეძვრებოდა და ბოსტნეულობას აფუჭებდა. ბევრჯერ სცადეს და ვერ დაიჭირეს, მწყემსიც დატუქსეს, მაგრამ მაინც თავიდან ვერ მოიშორეს ის ღორი.

ერთ საღამოს, კაკლის ქვეშ, ბავშვები ვანშმის შემდეგ ცეკვავდნენ, დამლაგებელი კატო გარმოსს უკრავდა, მოცეკვვეები კობტად უღლიდნენ. ის იყო ჯერ ვასიკოზე მიდგა. ბიჭმა ხელები გაშალა, ერთი ორი ჩამოუარა და უცებ წრე გაარღვია და ნიაქპარივით კვლებსაკენ გაქანდა: არიქა, ღორი შემოსულაო, — და ყველანი წამოიშალნენ. მაგრამ სანამ ვასიკოსთან მიადწევდნენ, ვასიკო ღორს სწრაფად გამოედევნა, ფეხში ხელი სტაცა და ზურგზე, როგორც ცხენს ისე

მოაჯდა. ღორი ქუყვიტინით ხან აქეთ გაქანდა, ხან იქით; პატარა მხედარს სასაცილოდ დააძუნძულებდა. ბავშვები სიცილით იხოცებოდნენ, მაგრამ თავზა-აბნეულმა ღორმა თავის დაღწევა რომ განიზრახა და ეკლიანი ღობისაკენ გაქანდა, ირგვლივ საშინელი ხმაური ატყდა: ვაიმე, ვასიკოს თვალებს დასთხრი-სო.

სანამ ვინმე გზას უყვლავდა, ვასიკო ორივე ხელით ყელზე შემოეხვია ღორს და გამალებით ფხანა დაუწყო. ღორს ფხანა ძლიერ ესიამოვნა, უცებ შედგა და გაინაბა. მერე გვერდზე გადაიხარა და მიძიმედ წამოწვა, ვასიკომ გადმოხტომა მოასწრო, ამ დროს უფროსებიც მოვიდნენ, ღორს კისერზე თოკი შეაბეს და მას შემდეგ ღორი იქ დარჩა.

კოლმეურნეობამ ეს ღორი საბავშვო ბაღს აჩუქა. ბავშვები გულმოდგინედ უვლიდნენ, აბანავებდნენ, ვარცხნიდნენ, საქმელს არ აკლებდნენ, ღორს კობტა საყვლოც შეაბეს და ვასიკოს იორლა უწოდეს; მეტად გაათამამეს, თანაც შეიჩვიეს.

ვასიკოს იორლა კუნტრუშებდა და იყო ერთ ამბავში. ყველაზე ძლიერ ღორს კატოს გარმონის დაკვრა შეუყვარდა. დაუკრავდა თუ არა კატო გარმონს, ღორი სიამოვნებით თავს მალდა ასწევდა, თვალებს ჩახუჭავდა და დინგქვეშიდან კბილებს ისე გამოაჩენდა, თითქოს იცინისო. მის დანახვაზე ბავშვები კვდებოდნენ სიცილით.

მაგრამ მათ სიხარულს სახლეარი მაშინ არა ჰქონდა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ვასიკოს იორლამ თორმეტი თეთრი ბაწია გოკი დაყარა.



## უკუელ ამპარტავნები

— წამოდი, წამოდი გეთაყვა, შენი ადგილი თაროზეა, — დაყავებით ეუბნებოდა დიდდა დარო, ხან ჩაიდანს, ხან უთოს და სამხარეულოში მიჰქონდა.

სხვადასხვა ჯურის ჯამ-ქურქელს მოეყარათ თაროზე თავი. თითოეულ მათგანს საიმაყო რამ გააჩნდა. ნიგვზის ზეთით გაღვნილ ფილთაქვას პიტნის, ნიერის და ქანდრის სურ-ნელებით მოჰქონდა თავი.

მუცელგამობერილ ჩაიდანს—სწრაფი დუღილით. ცალფეხა ლამპას—სიკაშკაშით. ნახშირის უთოს კი—თეთრეულზე სრიალით.

ტუბილად ცხოვრობდნენ ისინი, იცოდნენ ერთმანეთის ყადრი და მორიდება. სჯა-ბაასში უპირატესობა ყველაზე უხუცესს ნიეთს ეკუთვნოდა.

მე ვარ ამ ოჯახის საძირკვლის პირველი დამლოცველიო, — ამბობდა ღინჯად ხელადა, რომელსაც ტუჩზე ქინძმარაულის სიწითლე სამუდამოდ შერჩენოდა. და ჰყვებოდა, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას სუფრაზე,

მართლაც, ყოველთვის, როცა ოჯახი ახალ წელს ხვდებოდა, ან ვისმეს დაბადების დღეს იხილიდა, ან რომელიმე დღესასწაულს ზეიმობდა, თაროს მობინადრეები სიამაყით ისმენდნენ ხელადის მიმართ თქმულ სიტყვებს:

აბა, ჩემო ხელადა, ჩამოასხი ხელადა!

და ხელადაც ავსებდა ჭიქებს სტუმრებისა და ბედნიერი ოჯახის სადღეგრძელოდ. მეორე დღეს კი თაროზე დაბრუნებული ხელადა ჰყვებოდა: თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში და როგორ მოიღვინა.

იცოდნენ თაროს მობინადრეებმა თავისი ფასი და მეტად მოსწონდათ თავი.



— ჩვენზე კარგები ქვეყნად არაყინ მოიპოვებო, — გაიბახოდნენ ისინი და ერთმანეთს აქებდნენ.

მაგრამ ერთ დღეს კიბებზე შემდგარმა ლურჯხალათიანმა კაცმა მთელი ბინა შემოიარა. კედლებზე ათთარი კოჭები მიაკვდა \*და მათზე მივთულები ვაკიშო.

ახლა ჩვენი სოფელიც გამოიხედავს თვალშიო, — უთხრა დიდდა დაროს და წავიდა.

\* \* \*

ნათქვარაზე ჩაიდანს შიშინებდა. ნახშირის უთოს უბე ნაკვერცხლებით ამოეყვო, ცალფეხა ლამპას კი ანთებული პატრუქი ენასავით ამოეყვო, როცა დიდდა დაროს შეილი, რა-



ლი და შვილიშვილი მაღაზიიდან სასყიდლებით დატვირთულე-  
ბი შინ დაბრუნდნენ.

— გეშველა, ბებიკო, არც ხელები გაგემურება, არც ნახშირის უთო თავს აღარ ვატყენს!—უთხრა დედას თმახუ-  
ჭუჭუ ბიჭუნამ; ბიჭუნას დედ-მამამ კი მაგიდაზე ელექტრონის  
ლამპა, უთო, ჩაიდანის და ღუმელი დააღაგეს, რითაც თაროს  
შობინადრენი მეტად გაამხიარულეს.

— შეგებთ, შეგებთ ამ კუდიანებს, როგორ დასკუპებულან,  
ის კი არ იციან, რომ დიდდა დარო იმთ კულებით დიით-  
რებს და ფანჯრიდან გადაპყრის,—გაიძახოდნენ ისინი.

მაგრამ, როცა დიდდა დარომ პრილა ნიეთებს აღრისია-  
ნად ხელი ვადაუსვა, ჯერ გაოცდნენ, შემდეგ კი, როცა ელექ-  
ტროდენში ჩართული კუდიანი ლამპა მზესავით აკაშკაშდა,  
კუდიანი უთო თერთეულზე გასრიალდა, კუდიანი ღუმელი  
აღღვარდა და კუდიანი ჩაიდანის მყისვე აღუღდა, უკულო ამ-  
პარტაენები სხვადასხვარივად გაავდნენ.

გაბოროტებულმა ნათქვამ იფეთქა. ჩაიდანს ბრაზისა-  
გან გული აუღუღდა, ლამფას შურისაგან შუშა გაუშვედა, გა-  
კაპასებულმა უთომ კი ნაპერწკლები გადმოჰყარა. მაგრამ რას  
ვახდებოდნენ!

ხელადამ კი ელექტრონიეთებს მეგობრულად გაუღიმა  
და მოახსენა: ამაღამ თქვენს საღვებრძელოდ ქიქებს ღვინით  
ავადებო!



## ჩემი პირველი

## ჩურჩხელა

— ერთი, ორი, სამი, ოთხი.—ით-  
ვლიდა საფეხურებს ტასო და ისე  
ადიოდა კიბეებზე.

— ოცი!—ხმამაღლა დაათვა და-  
თვლა და წინდის ქსოვით გართულ  
ბებიასთან მიტუნტულდა.

— ბებიკო, ერთი ჩურჩხელა მომე-  
ცი!—სთხოვ ტასომ ბებიას.

— ახლა დრო არ არის, ვისადი-  
ლებთ და მერე!—უპასუხა მოხუცმა.

— განა მე უნდა ვკამო? მაშოს  
უნდა მიეცე, შვეპირდი.—წამოსცდა  
გოგონას. ბებია დაეჭვდა ტასოს ნა-  
თქვამში, მაგრამ არ აგრძნობინა. სა-  
ქსოვი ტახტზე დაღა და საკუქნაო-  
დან შვილიშვილის ჩურჩხელა გამოუ-  
ტანა.

ტასიკომ ორივე ხელი მოჰკიდა  
ჩურჩხელას და კიბეები ახლა ზევიდან



ჩაითვალა: ოცი, ცხრამეტი, თერ-  
მეტო...

მაშოს გავაფრთხილებ, ვითომ  
მართლა შეპირებული ვიყავი და ჩუ-  
რჩხელას შუშავი გავიყოფთ.—ფიქრობ-  
და ტასო, თან კი გული ეთანაღ-  
რებოდა. ის იყო უნდა დაეძახა პა-  
ტარას მეგობრისათვის, რომ სწრაფად  
შემოტრიალდა და სახლისკენ სირ-  
ბილით გასწია. ქაქანით მიიბრინა  
ბებიასთან და მოიბოდიშა:

— ბებიკო, განა მართლა შეპირ-  
დი მაშოს ჩურჩხელას... მაპატიე, რომ  
ვიცრუე... ხელ აუცილებლად შევ-  
პირდები და მერე მომვცი!

ტასომ ბებიას ჩურჩხელა უკან გაუ-  
წოდა.

ბებიკომ გულში ჩაიხუტა საყვარე-  
ლი შვილიშვილი.



სახატები ვ. ბელეტკაიასი

## კურდღელი და მელა

ზანაძის ზღაპარი

ერთხელ ძამია კურდღელმა და ძამიკო მელიამ ცერცვის დათესვა დააპირეს და საზიაროდ კვლების გაკეთებას შეუდგნენ.

ეს ორი ძმობილი სულ ერთმანეთს იყვნენ გადაკიდებულნი და ერთმანეთის ოინებით ბევრი რამ გადახდენოდათ. ოღონდ ძამია კურდღელი უფრო არხეინად გრძნობდა თავს, იმიტომ, რომ ბებერი მელია მასთან კინკლაობას ერიდებოდა.

ჰოდა, გადაწყვიტეს, რომ ერთად გარჯილიყვნენ და ცერცვის დასათესი კვლები მოესუფთავეზინათ.

მზე ისე აცხუნებდა, რომ ძამია კურდღელი შეწუხდა და ცოტა არ იყოს, დაიღალა კიდევ. საქმეს კი მაინც თავს არ ანებებდა; ვაი, თუ ზარმაცობაში ჩამომართვანი; თხრიდა ძირკვებს და ფიჩხს აგროვებდა. ბოლოს დაიქცილა: ხელში ეკალი შემესოა, გაერიდა სამუშაოს და ჩრდილის ძებნას შეუდგა, რომ სადმე გრილოში წამოგორებულიყო.

იარა კურდღელმა, იარა და ერთ ჰეს მიაღვა. ჰეში კასრი იყო ჩაკიდული.

— ბიჰოს! აქ რა სიგრილე ყოფილა! — წამოიძახა კურდღელმა. — მართლაც გრილი! მოდი, შიგ ჩაძვრები და წავთვლიმ. — თქვა და ჩახტა კასრში. შიგ ჩახტა თუ არა, კასრი ქვევით ჩაეშვა. შეეშინდა

კურდღელს. შიშისაგან სულ გააცივა.

ეს კი იცოდა საიდანაც ჩაეშვა, მაგრამ საით მიემგზავრებოდა, — ამაზე რა მოგახსენოთ!

კასრმა უკვე კარგა ხანია წყალს მიღწია, ფსკერით დაეძვინა და შეჩერდა. ძამია კურდღელი კი არ ინძრევა, გატრუნულა კასრის ძირზე და შიშისაგან ცახცახებს.

ძამიკო მელიას არ გამოეპარა კურდღლის წასვლა. ცალი თვალი მისკენ ეჭირა და კურდღელი ნაკვეთიდან გაიპარა თუ არა, ბებერი მელიაც კვალდაკვალ მიჰყვა.

მელიამ დაინახა, როგორ შეჩერდა ჰესთან ძამია კურდღელი, როგორ ისკუპა კასრში, და ნახე! გაქრა კურდღელი! ასეთ სასწაულს ჯერ არც ერთი მელია არ მოსწრებოდა.

უთვალთვალა ბუჩქიდან, უთვალთვალა და ვერაფერს მიხვდა. ბოლოს წაიბუტბუტა:

— აი, ამ ადგილზევე გამისკდეს მიწა, თუ ძამია კურდღელი იმ ჰეში ფულებს არ მალავდეს. ან და, ნამდვილად იქ, ოქროს მადანს მიაგნო; მელია არ ვიყო, თუ ყველაფერი არ გამოვარკვიო. მიცუნცულდა ჰესთან შორიახლოს, ყური მიუგდო — არაფერი ისმის.

უფრო ახლოს მიიწია — კიდევ არაფერი ისმის. ჩუმად მიცოცდა ჰესთან, შიგ



ჩაიხედა—და არც ჩანს არაფერი, არც ისმის.

ძამია კურდღელი კი ამ ხნის განმავლობაში ცოცხალ-მკვდარი მოკუნტულიყო კასრში. ყურიც ვერ გაენძრია: ვაითუ კასრი გადაყირავდეს და წყალში ტყაპანი გავადინო.

უცბად ძამიკო მელიას ხმა ჩამოესმა:  
— ეჰეი, ძამია კურდღელო, მანდ სტუმრად ვის ეწვიე?

— მე? მე ისე, თევზებს ვიჭერ, ძამო მელიავ; მინდოდა შენთვის სადილად თევზი მომერთმია. ჰოდა, აი, ვზივარ და ვიჭერ თევზს. რა ლოქოებია, რომ იცოდე!—მიუგო კურდღელმა.

— ბევრია, ძამია კურდღელო?

— უთვალავია, ძალიან ბლომად არიან! ნეტავ შენც ჩამომეშველებოდე და ამომატანინებდე, ძამიკო მელიავ.

— მერე და, როგორ ჩამოვიდე, ძამია კურდღელო?

— ჩახტი მანდ, კასრში, ძამიკო მელიავ, და ის თვითონ ჩამოგიყვანს.

კურდღელი ისე მზიარულად და ტკბილად ტიტინებდა, რომ ბებერმა მელამ დიდხანს აღარ დააყოვნა, ჩახტა კასრში! და... ჩაეშვა ქვევით! ამავე დროს ძამია კურდღლის კასრი კი ნელ-ნელა ზევით ავიდა, იმიტომ, რომ მელია უფრო მძიმე იყო, და იმისმა კასრმა დასძლია.

შუაგზაზე ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ძამია კურდღელმა ჩაიძღვრა:

ჰე, ძამიკო მელიავ,  
ფრთხილად იყავ ძალიან,  
ქაში კი არ დამეხრჩო,—  
ყინულივით წყალია!

ამოხტა კურდღელი კასრიდან და მოუსვა! ირბინა, ირბინა და ჰის პატრონს უთხრა: თქვენს ქაში ბებერი მელია ჩამძვარა და წყალს გიმღვრევთო. მერე ისევე ქასთან მიირბინა და ჩასახა ძამიკო მელიას:



არ შეშინდე, ძამიკო, ჩემი რჩევა გაიგე: როცა ამოგიყვანენ, ისკუპე და გაიქეც!

ჰის პატრონმა აიღო თავისი დიდი, გრძელი თოფი და ჩაიხედა ქაში,—არაფერი მოჩანს! ყური მიუგდო—არაფერი ისმის. ჩაავლო ხელი თოკს, და ეწევა და ეწევა ზევით... უცბად—სკუპ! და ძამიკო მელიამ ისე სწრაფად მოუსვა, რომ მართო მის ბუთქუნა კუდს და მოჰკრა თვალი ჰის პატრონმა.

მას შემდეგ ნახევარი საათიც არ გასულა და აქ ვითომც არაფერიაო, ორივე ერთად განაგრძობდა კვლების კეთებას.

ძამია კურდღელი დროდადრო სიცილს ვერ იმაგრებდა, და ფხუკუნი აუტყულებოდა ხოლმე.

მელია კი წაიბუღლუნებდა:  
ასეთ ვაიმძვერა კურდღელს დედამიწა  
როგორ იტანსო.

12/3

3 68/156



ილია სინარულიძე

# ფეხბურთელები

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

შევიკრიბეთ და ორ გუნდად  
გაეყავით ბავშვები;  
ჩვენი გუნდი „დინამოა“,  
„სპარტაკს“ ვეთამაშებით.

დაბტის ბურთი, ჩვენც დაეხტივართ,  
ბურთმა აგვიყოლია!  
გაუტრეთ კარისაკენ,  
ჰა, ნამდვილად კოლია!..

ბურთს დავარტყით და გაუძვრა  
ის დამცველებს დაგვიღის,  
ვერც შეკარემ დაიჭირა,  
გაუხვია ბაღემი!!

და გაისმა ტაში, ვაშა,  
თითქოს ქარიშხალია!  
გამარტყებამ ჩვენი გუნდი  
გამახნევა ძალიან.

ტაში დიხანს აღარ წყდება,  
ხალხი ისე გვაფასებს...

— „ერთით—ნოი!“—აღინიშნა  
შეკვირების დაფაზე.

შეტევაზე გადმოვიდნენ  
ახლა სპარტაკელები,  
გამორბიან კარისაკენ,  
ველარ ვიჭვრთ მცველები.

დატრიალდა ჩვენი გუნდიც,  
არის ბრძოლა მაგარი,  
ისმის: „ბიჭო, ზურა, გოგი!...  
„ჭაუტისკენ“ გაჰკარი!..

მაგრამ ამ დროს სპარტაკელებმა  
ბურთს დაარტყა თავური,  
ბურთმა ბაღე შეარხია,  
ატყდა ერთი ხმაური;

შეფრთხილდნენ მტრელები და  
ისმის ვაშა, ჰქუსს ტაში!..  
„ერთით—ერთი!“ ფრედ დამთავრდა  
იმ დღეს ჩვენი თამაში!

ყდახე: „ჩვენი შეგობრები“ ნახატი რ. სტურუახი

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ შარტავანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თემანიშვილი, მაცვ. მრეველიშვილი, ი. სხარაღლიძე, ნ. ნუნუქიანი, შ. ცხადაძე.

А И Л А — семейный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 11, Ноябрь 1981г. Тбилиси, Ленинка 14. Дотиражадат ГРУЗИИ საქართველო, რედაქციის მისამართი: „ბილის ლენინს 14, მ სართ. ბღ. 3-57-108 გამოშვ. შეჯ. № 538 სტამბის შეჯ. № 2828/1104 ტირაჟი 13000 უფ. 00239 ტექსტი ანუბოლიცა დ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკულ-მანქანაკონსტრუქტორის სტამბაში კურნალი დაბეჭდილია ოფაბტის პიტუბის მანქანაზე გზარია ვოსტოკას“ სტამბაში: თბილისი, რუსთაველის ქროსი. № 62